ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - კარლო ჯამბურია.

თანამდებობის დასახელება - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ფრაქციის დასახელება - ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.

კომისიის დასახელება - იურიდიულ საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) **15 საოლქო საარჩევნო კომისია - პროპორციული**

საანგარიშო პერიოდი - 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე.

- ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -14, საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 13;

სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 11, დასწრება -11;

სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -2ფრაქციის სხდომებზე დასწრება 2

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

საანგარიშიო პერეიოდში, ინიცირებული იქნა:

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში შუამდგომლობით მივმართე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მისანიჭებლად წარმოდგენილი შუამდგომლობისა და დოკუმენტაციის შემსწავლელ კომისიას, ლაგოდეხში მოღვაწე ექიმის, დოდო მუმლაზე ლაგოდეხის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ. დოდო მუმლაძეს მიენიჭა ლაგოდეხის საპატიო მოქალაქის წოდება.

- აქტიურად ვიყავი ჩართული წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის, 2024 წლის ბიუჯეტის შემუშავება/განხილვაში და რეკომენდაციის შემუშავებაში.

- ჩემი ინიციატივით დაიწყო საქმის წარმოება, ქ. ლაგოდეხში მდებარე ე.წ „*რანის*“ საფეხბურთო მოედნისთვის საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, საფეხბურთო კლუბ „ჰერეთის“ მთავარი მწვრთნელის, ლაგოდეხის სასპორტო სკოლის დირექტორის და ვეტერანი ფეხბურთელის, ჯემალ ჯიბლაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

იურიდიული კომისიის ფარგლებში, უკვე, გაიმართა საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრას ჯემალ ჯიბლაძის ოჯახის წევრები, ვეტერანი ფეხბურთელები და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო.

- მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენიმე თემში, მათ შორის, მაწიმის, რაჭისუბნის და კართუბნის ქუჩებს, მიენიჭათ სახელი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს რამდენიმე ქუჩის სახელდების პროცესი.

- 2023 წელს, ჩემი ინიციატივით დაწყო და 2024 წელს დასრულდა საკრებულოს სხდომათა დარეგისტრირების რეაბილიტაცია, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით.

საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- უმრავლესობის მიერ ინიცირებული და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყველა მნისვნელოვანი საკითხი, იქნა მხარდაჭერილი . მათ შორის, 2024 წლის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი და მუნიციპალიტეტში განხორციელებული/დაგეგმილი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები.
  კერძოდ, აქტიურად ვიყავი ჩართული 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაგეგმილი პროექტების განხილვა/დაგეგმვის პროცესში.

ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

- მხარი დავუჭირე ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

- მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 100 -მდე (საანგარიშო პერიოდი);

- შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 20-50 (თითოეული შეხვედრა);

- მოქალაქეებთან შეხვედრები გაიმართა, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში მოქალაქეთა პრობლემების კვლევისა და ადვოკატირების მიზნით .

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

მოქალაქეებთან შეხვერდები, რომელიც რეგულარულად ხორციელდება და რომლის მიზანია წარმომადგენლობითი ორგანოს გამჭვირვალობა, ანგარიშგება და მოსახლეობის პრობლემების კვლევა გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი,რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს.

- დასაქმება;
- მიუსაფარი ძაღლების საკითხი;

მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასევე სხვა უწყებებთან მოქალაქეების მიერ მოწოდებული პრობლემების ადვოკატირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენიმე თემში, ქუჩებს, მიენიჭათ სახელი და სახელის მინიჭების (სახელდება) თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო კიდევ რამდენიმე თემში.

მაგალითისთვის: სოფელ კართუბანში ლერმონტოვის ქუჩას, 1989 წელის 9 აპრილს ტრაგიკულად გარდაცვლილი მამუკა ნოზაძის სახელი ოფიციალურად მიენიჭა და მოხდა ქუჩის ნუმერაცია.

"გაიგე მეტი თვითმმართველობაზე"

"გაიგე მეტი თვითმმართველობაზე"- თვითმმართველობის საკითხებზე, საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან გაიმართა ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც, თვითმმართველობის მნიშვნელობის პოპულარიზაციას ითვალისწინებს, ჩემი ინიციატივით მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ, 21 საჯარო სკოლაში ჩატარდა.

საინფორმაციო შეხვედრების ფორმატში ახალგაზრდებს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის, საკრებულოს ფუნქციებსა და მუშაობაზე, მონაწილეობით ფორმებზე, ჩართულობის ინსტრუმენტებსა და აპარატის საქმიანობაზე გავუზიარე.

პროექტის ფარგლებში, 21 საჯარო სკოლის 10-11 კლასელებს სერტიფიკატები და სიმბოლური ჯილდოები გადაეცათ.

რეგიონალურ საკონსილტაციო საბჭოს წევრი

საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან არსებულ მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს, რომელის მიზანია სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა; სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა; სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წევრები არიან: მუნიციპალიტეტების მერები, მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები და მისი მოადგილეები. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 4 შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა

სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის ინფრასტრუქტურული საკითხები და რეგიონის მასშტაბით განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტები.

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

გენდერული თანასწორობის საბჭო მრავალფუნქციური ინსტიტუციაა და მისი მთავარი მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი ჩართულობა და მათი უფლებების თანაბარი რეალიზაცია. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში, ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების რაოდენობა -1

- **არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.**
- **სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე მონაწილეობა.**

შევსების თარიღი 31.10.2024წ.

წარდგენის თარიღი 31.10.2024წ.

ხელის მოწერა ----------